ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში



ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში

ვიეტნამის ომი ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და არაპოპულარული ომია. ამერიკის ხალხის უმრავლესობა მას ეწინააღმდეგება. ომის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ამერიკის მთავრობა ვიეტნამში ინტერვენციას ახორციელებს. ომის მოწინააღმდეგეები მოითხოვენ ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ვიეტნამიდან.

ომის მოწინააღმდეგეების აზრით, ამერიკის ჯარების ვიეტნამში ყოფნა ამერიკის ეკონომიკისთვის ტვირთია. ომი ამერიკის ეკონომიკას ანადგურებს. ომის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ

იდეა მარად, ჩვენ სამშობლოს!

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობა



საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა მოწინავე, განვითარებულ, მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

რევოლუციამდე მეფის სახელმწიფო ხაზინას, საუფლისწულო მამულების ჩათვლით, ეკუთვნოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 59,9 პროცენტი, მემამულეებს (თავად-აზნაურობა, ვაჭრები, სამღვდელოება)— 33,8 პროცენტი, ხოლო გლეხურ მეურნეობათა წილად მოდიოდა მხოლოდ 6,3 პროცენტი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში განხორციელდა მშრომელი გლეხობის სანუკვარი ოცნება — 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით გაუქმდა მიწაზე კერძო საკუთრება და იგი უფასოდ გადავიდა მშრომელი ხალხის სარგებლობაში.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა, განავითარა რა მარქსიზმის ფუძემდებელთა მოძღვრება გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ, თავის კოოპერაციულ გეგმაში ჩამოაყალიბა ამ ურთულესი საკითხის გადაწყვეტის ნათელი პროგრამა.

ლენინმა დაასაბუთა, რომ გლეხური მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ერთადერთი სწორი ფორმაა კოოპერაცია. კოოპერაციაში (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში კი განსაკუთრებით), იგი ხედავდა გლეხობისათვის გასაგებ და მისაწვდომ გზას წვრილი, ერთპიროვნული მეურნეობიდან მსხვილ, ამხანაგურ გაერთიანებებზე — კოლმეურნეობებზე გადასასვლელად.

კომუნისტური პარტიის მიერ გაწეული ხანგრძლივი ორგანიზატორული და განმარტებითი მუშაობის შედეგად გლეხები დარწმუნდნენ ახალი ცხოვრების უპირატესობაში, ლენინური კოოპერაციული გეგმის ცხოველმყოფელობაში. მილიონობით წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა გაერთიანდა კოლმეურნეობებში, დაადგა სოციალიზმის გზას.

ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალისტური მშენებლობის საკითხებში საჭიროა კონკრეტული ვითარების გათვალისწინება. სწორედ კონკრეტულ ვითარებათა შესაბამისად კოლექტივიზაციის ტემპი საქართველოში რამდენადმე შეზღუდული იყო, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში. მაგალითად, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი სსრ კავშირში 1928 წელს 1,7, ხოლო საქართველოში 0,9 შეადგენდა. 1929 წლის დამლევიდან იწყება მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. 1932 წლისათვის, ესე იგი, საკოლმეურნეო მშენებლობაში რეორგანიზაციის ძირითადად დამთავრების პერიოდისათვის, კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო სსრ კავშირის გლეხურ მეურნეობათა 61,5 პროცენტი, საქართველოში კი — 36,1 პროცენტი. 1937 წელს გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი სსრ კავშირში 93, ხოლო საქართველოში 76,6 შეადგენდა.

1940 წელს სსრ კავშირის 236.900 კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 96,9 პროცენტი, ხოლო საქართველოს 4256 კოლმეურნეობაში — 94,1 პროცენტი. 1950 წლიდან განხორციელდა წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესი და მათი რიცხვი სსრ კავშირში 123.700-მდე მცირდება. 1966 წლისათვის ეს ციფრი 37,100-მდე ჩამოდის. ამასთან საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანებულ კომლთა რიცხვი 1940-1966 წლებში 81-დან 417-მდე იზრდება, ნათესი ფართობი 500 ჰექტარიდან 2800 ჰექტარამდე, ძროხეულის ხულადობა 85-დან 1072-მდე, ღორებისა— 35-დან 667-მდე, ცხვრისა და თხისა 177-დან 1509 სულამდე აღწევს. საქართველოშიც კოლმეურნეობათა რიცხვი შესაბამისად 4256-დან 1515-მდე მცირდება, ხოლო საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანებულ კომლთა რიცხვი 113-დან 306-მდე იზრდება, საზოგადოებრივი ნათესების ფართობი 185 ჰექტარიდან 340 ჰექტარამდე, ძროხეულის სულადობა 134-დან 355-მდე, ღორებისა 11-დან 120-მდე, ცხვრისა და თხისა 228-დან 730 სულამდე დიდდება.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია გულისხმობდა მსხვილ საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობას. მათი რიცხვი სსრ კავშირში 1940 წლიდან დღემდე 4200-დან 15 ათასამდე გაიზარდა. საქართველოში 1940 წელს 76 საბჭოთა მეურნეობა არსებობდა, 1970 წლის დამდეგს კი მათმა რიცხვმა 210 მიაღწია.

ცხადია, სწორი არ ვიქნებოდით, თუ ისეთ ვეებერთელა ქვეყანაში, როგორიც სსრ კავშირია, შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში სოფლის მეურნეობის ძირეულად გარდაქმნის ურთულეს საქმეს განვიხილავდით როგორც უმტკივნეულო, ცალკეული შეცდომების გარეშე განხორციელებულ პროცესს. მასობრივი საკოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში იყო დამახინჯებები საშუალო გლეხობისადმი მიდგომის საკითხში. საკოლმეურნეო მშენებლობის დროს ზოგან ივიწყებდნენ ნებაყოფლობის, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობის, საკოლმეურნეო მშენებლობის ჯერ დაუსრულებელი ფორმიდან უფრო მაღალზე გადასვლის დაუშვებლობისა და სხვა ლენინურ პრინციპებს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებათა გულდასმით, თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა.

საგანგებო წერილში მხოლოდ ზოგადად, ძირითად ხაზებში შეიძლება აისახოს საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის სურათი.

1968 წელს 1913 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია რესპუბლიკაში 5-ჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა. ამავე წლებში საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 80 პროცენტით გადიდდა. საგულისხმოა ისიც, რომ სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ამ პერიოდში, მისი ხვედრითი წონა მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში 74,4 პროცენტიდან 52,2 პროცენტამდე, ანუ 22,2 პროცენტით შემცირდა. როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი რამდენჯერმე აღემატება მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპს. ამასთან, საქართველოში სასოფლო სავარგულთა ფართობის ერთეულზე (1965 წელი) 3,7-ჯერ მეტი ძირითადი საწარმოო ფონდები, 2,6-ჯერ მეტი მინერალური სასუქები და 2,9-ჯერ მეტი მთლიანი პროდუქცია მოდის, ვიდრე სსრკ-ში საშუალოდ. ეს არის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და მისი ინტენსიფიკაციის გზით განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი.

როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია შევეხოთ ამ თავისებურებებს, რომლებიც მისთვის არის დამახასიათებელი.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიას უჭირავს 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრი, ანუ დაახლოებით 7 მილიონი ჰექტარი, რაც სსრ კავშირის ტერიტორიის 0,31 პროცენტს შეადგენს. ამასთან საქართველოს ახასიათებს მეტად რთული და მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი. რესპუბლიკის შედარებით მცირე ტერიტორიაზე გვხვდება თითქმის ყველა სახის ჰავა — კავკასიონის მთავარი ქედის მუდმივი თოვლისა და ყინვარების ჰავიდან შავი ზღვის ტენიან სუბტროპიკულ ჰავამდე და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ნაწილის ტრამალურ-კონტინენტური ჰავამდე.

საქართველოში გავრცელებულია ყველა ტიპის სიადგი, დაწყებული დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის წითელმიწა ნიადაგებიდან მაღალმთიანეთის მთა-მდელოების ნიადაგებამდე; მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ველისა და უდაბნო-ველის ზონის შავმიწა, წაბლა და მურა ნიადაგებიდან, სამხრეთ საქართველოს მთიანი ველის ზონის მთის შავმიწა ნიადაგებამდე.

საჭიროა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი თავისებურება. დამუშავებული მიწების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) განლაგების მთელ ტერიტორიაზე ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანისათვის არსებობს ხელსაყრელი თერმული რეჟიმი — მაღალი საშუალო წლიური ტემპერატურა, გრძელი სავეგეტაციო პერიოდი და სხვა. ნიადაგთან ერთად ეს განაპირობებს ისეთი ძვირფასი, მაღალშემოსავლიანი კულტურების განვითარებას, როგორიც არის ვაზი, ჩაი, ციტრუსები, ხეხილი, თამბაქო, ეთერზეთოვანი და სამხრეთის სითბოს მოყვარული სხვა კულტურები. მაგრამ ნიადაგისა და ხელსაყრელი თერმული რეჟიმის მიუხედავად, ზემოხსენებული კულტურების წარმატებით განვითარების შესაძლებლობანი იზღუდება სავეგეტაციო პერიოდში ტენის ნაკლებობის (აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი და მთის წინა ნაწილი) ან მისი სიჭარბის (დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ზონა) და წყლიწადის განმავლობაში ნალექების არახელსაყრელი განაწილების გამო. აქედან გამომდინარეობს საქართველოს პირობებში წყალსამეურნეო სამუშაოების — როგორც მორწყვის, ისე დაჭაობებული მასივების ამოშრობის — განსაკუთრებული აქტუალობა და დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.



პეტრე შენგელია,

პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

◆

ვლადიმერ ლენინი 1921 წლის 14 აპრილს კავკასიის კომუნისტებისადმი მოწერილ წერილში მათ ყურადღებას ამახვილებდა მელიორაციული ხასიათის ღონისძიებათა განხორციელების უდიდეს მნიშვნელობაზე.

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით წყალსამეურნეო სამუშაოთა დიდი პროგრამა განახორციელეს. 1921 წელს საქართველოში სარწყავი ქსელით უზრუნველყოფილი ფართობი 95 ათას ჰექტარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ ფართობიდან მხოლოდ 15 ათასი ჰექტარი მოდიოდა კეთილმოწყობილ საინჟინრო ნაგებობებზე. ამასთან, ეს ქსელი წყალს იყენებდა შედარებით მცირეძალოვანი მდინარეებიდან. ისეთი მდინარეები, როგორიც არის მტკვარი, ალაზანი, არაგვი და სხვა, თითქმის გამოუყენებელი იყო რწყვისათვის. ამჟამად სარწყავი ქსელით მოცულია 385 ათასი ჰექტარი ფართობი, ამოშრობილია 118 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები, მათ შორის 70 ათას ჰექტარამდე კოლხეთის დაბლობში.

საქართველოში 1923 წელს აგრონომზე ოცნებობდა. 1968 წლისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოებში 17 ათასამდე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, მათ შორის 11.552 სოფლის მეურნეობის სპეციალისტი (აგრონომი), მეტყევე, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი... ითვლებოდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას თავისი სპეციფიკურობის გამო განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შრომის საკავშირო დანაწილებაში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურისათვის დამახასიათებელია მეტად ძვირფასი, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის დარგების — მევენახეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის და სხვათა დიდი ხვედრითი წონა.

აქ დასახელებული დარგების ერთი ნაწილი საქართველოში ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. 1913-1969 წლებში ჩაის პლანტაციების ფართობი 900 ჰექტარიდან 63,4 ათას ჰექტარამდე, ანუ 70-ჯერ, ხოლო მისი საერთო მოსავალი 0,55 ათასი ტონიდან 231,5 ათას ტონამდე, ესე იგი, 420-ჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა.

ციტრუსოვანთა ნარგავებს 1913 წლისათვის 160-200 ჰექტარი ფართობი ეჭირათ, 1969 წლისათვის მათ 13400 ჰექტარი უჭირავთ, ხოლო მოსავალმა 35-40 ათასი ტონა ნაყოფი იკრიფება.

დიდი წარმატებებია მოპოვებული საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ ძველ, კლასიკურ დარგებში — მევენახეობასა და მეხილეობაში. ვენახის ფართობი 1913-1969 წლებში 52 ათასი ჰექტარიდან 113,6 ათას ჰექტარამდე გაიზარდა, საერთო მოსავალი კი 1940-1969 წლებში (1913 წლის აღრიცხვის მასალებში ყურძნის მოსავალი ნაჩვენები არ არის) 150 ათასი ტონიდან 475 ათას ტონამდე.

ფრიად გაფართოვდა ხილეულროვნების ფართობი (1913 წელს — 30,8 ათასი ჰექტარი, 1969 წელს — 141 ათასი ჰექტარი), ხოლო მისი მოსავალი 1940-1969 წლებში 113 ათასი ტონიდან 280 ათას ტონამდე გადიდდა.

ზოგიერთის აზრით, ეს წარმატებები მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობაში მოპოვებულია მარცვლეული მეურნეობის ან კიდევ მეცხოველეობისადმი ყურადღების შენელების ხარჯზე, რაც სწორი არ არის. პირიქით, რესპუბლიკაში მემინდვრეობა ვითარდებოდა ინტენსიფიკაციის გზით. მართალია, 1913-1968 წლებში საერთო ნათესი ფართობი თითქმის უცვლელი დარჩა (747,4 ათასი და 745 ათასი ჰექტარი შესაბამისად), მაგრამ ძირეული ხასიათის ცვლილებები მოხდა ნათესების სტრუქტურაში — მარცვლეულის ხვედრითი წონა 94,6 პროცენტიდან 57,6 პროცენტამდე მცირდება, ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა კი ორჯერ და მეტად იზრდება, კარტოფილისა და ბაღჩა-ბოსტნეულისა — თითქმის 6-ჯერ და საკვები კულტურებისა — 36-ჯერ.

მარცვლეული კულტურების აბსოლუტური ფართობისა და საერთო ნათესებში მისი ხვედრითი წონის საგრძნობი შემცირების მიუხედავად, 1913-1968 წლებში მთლიანი მოსავალი 428,4 ათასი ტონიდან 638,5 ათას ტონამდე ანუ თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა. მარცვლეულის საშუალო მოსავალი ამავე პერიოდში 2,4-ჯერ გადიდდა, თამბაქოს მთლიანი მოსავალი — 9 ათასი ტონიდან 15,4 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 48,4 ათასი ტონიდან 224 ათას ტონამდე, ბოსტნეულისა (1940-1968 წლებში) 103 ათასი ტონიდან 243 ათას ტონამდე გაიზარდა.

თავისთავად ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას მოჰყვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გაფართოება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების განვითარების შესაბამისად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა. დღეს საქართველოში თანამედროვე პროგრესული ტექნიკით აღჭურვილი ჩაის 70 ფაბრიკა მუშაობს.

მარტო 1940-1966 წლებში ღვინის მრეწველობის საწარმოები გაიზარდა 5,5-ჯერ, ხოლო მათი საწარმოო სიმძლავრე — 7-ჯერ და მეტად. დიდი მიღწევებია აგრეთვე თამბაქოს, ხილის, ბოსტნეულის, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში.

ვინც ქართულ სოფელში ადრე ყოფილა, ვიცის, მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებისა და მისი განხორციელების პერიოდში, ნახავდა, რომ გლეხობის დიდი ნაწილი გამოურბენია და მიწურებში ამ წუთით დაწერილ და ისლით დახურულ ფიცრებში ცხოვრობდა. ახლა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლების არქიტექტურებაში მოჰყავს ძნობელი. ისინი ერთმანეთთან და რაიონის ცენტრებთან დაკავშირებული არიან საავტომობილო გზებით. შესანიშნავი საცხოვრებელი სახლები, ელექტროფიცირებული, თანამედროვე ავეჯით მორთული ბინები, რადიო, ტელევიზორი, სხვადასხვა საფეხურის სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ფართო ქსელი, საკუთარი საბჭოთა ინტელიგენცია ნიშანდობლივია თანამედროვე ქართული სოფლისათვის.

მშვენიერი პერსპექტივები აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობას უახლოეს მომავალში. მშენებლობის დამთავრების პროცესშია ქვემო სამგორის სარწყავი არხი (40 ათასი ჰექტარი), ზემო ალაზნის სარწყავი არხის (108 ათასი ჰექტარი) პირველი რიგი; სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების ღონისძიებები. ამ და მრავალ სხვა ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის საფუძვლებს.

ჩვენი მუშაობის ამოცანები

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების V კონფერენცია

დღეიდღე ვითარდება კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან. ამ ერთგულ საქმეს სათავეში უდგას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ახლახან გაიმართა ამ საზოგადოების მეხუთე საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია, სადაც ლაპარაკი იყო 1968-70 წლებში გაწეულ მუშაობაზე.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ ბიბინეიშვილი, რომელსაც ვლაპარაკობთ ჩვენს ურთიერთობაზე საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან, — თქვა ორატორმა, — საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ ვისთან გვაქვს საქმე, სად ცხოვრობენ ეს ადამიანები, როგორია მათი პოლიტიკური შეხედულება, რელიგიური მრწამსი, განათლება, რაოდენობა და, ბოლოს, როგორი შეხედულებისა არიან ისინი ჩვენს საზოგადოებრივ წყობაზე.

მათთან მუშაობა საკმაოდ რთული საქმეა. მაგრამ ჭეშმარიტების ლამპრად გვინთია ერთი მთავარი: ქართველი, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, სულით ყოველთვის ქართველია, უყვარს სამშობლო, ხარობს მისი წარმატებით თუ კულტურული წარმატებებით, ამაყობს თვითმყოფადი, ეროვნული ტრადიციებით.

საზღვარგარეთ მრავალი ქართველი ცხოვრობს. არასრული ცნობებით, ყოველ სამ ქართველზე ერთი უცხოეთში ცხოვრობს. საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა წინა აზიის ქვეყნების მცხოვრებია. მათი შემადგენლობა როგორც სოციალური, ისე განათლების თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანია. წინა აზიის ქვეყნების ქართველთა ძირითადი მასა წერა-კითხვის უცოდინარია, უღარიბესი და ბოგანო გლეხია, ხოლო ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველებში ინტელიგენტები ჭარბობენ.

თანამემამულეთა ამგვარი მრავალფეროვანი შემადგენლობა ართულებს მათთან ურთიერთობას. ამას ისიც ემატება, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების დონე ერთნაირი როდია. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ქართველმა ახალგაზრდობამ თითქმის არ იცის დედაენა.

ჩვენი საზოგადოების ამოცანაა, — ამბობს მომხსენებელი, — ხელი შევუწყოთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში ეროვნული თვითგამორკვევითი პროცესის შემდგომ განვითარებას, შევაჩეროთ დენაციონალიზაცია, გავუღვიძოთ ჩვენს მოძმეებს ეროვნული სიამაყის გრძნობა, გავაცნოთ თანამედროვე საბჭოთა საქართველო, ჩავუნერგოთ სამშობლოს სიყვარული.

საზოგადოება თვეში ორჯერ უგზავნის თანამემამულეებს გაზეთ „სამშობლოს“, აგრეთვე მეცნიერულ, მხატვრულ ლიტერატურას, ლიტერატურას საქართველოს ეკონომიკაზე, ისტორიაზე, ხელოვნებაზე, კულტურაზე, სახალხო მეურნეობაზე. მათ ეგზავნებათ აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები, დასურათხატებული მასალები, გრამფირფიტების ჩანაწერები.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასული ორი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთათვის დაიბეჭდა მრავალი ბროშურა, წიგნი, ქართული ენის თვითმასწავლებელი ფრანგულ ენაზე და სხვა. გამოსაცემად მომზადებულია ქართული ენის თვითმასწავლებელი ინგლისურ და გერმანულ ენებზე, უცხოეთში მცხოვრები ნორჩი ქართველებისათვის — „დედაენა“, დაწყებულია მუშაობა ბროშურაზე „ქართული ანბანი“...

საანგარიშო მოხსენებაში ვრცლად იყო გაშუქებული საზოგადოების ორკვირეული გაზეთის „სამშობლოს“ საქმიანობა, მისი როლი თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში.

რაც დრო გადის, უფრო იზრდება „სამშობლოს“ პოპულარობა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღითიდღე მატულობს გაზეთის ადრესატთა რაოდენობა. „სამშობლო“ დღეს მსოფლიოს 32 ქვეყანაში იგზავნება.

მომხსენებელმა აღნიშნა უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის განკუთვნილი რადიოგადაცემების პოპულარობა. პატრიოტული თემები, საქართველოს მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, კალენდარული დღესასწაულები, სტუმრად ჩამოსულ თანამემამულეთა და უცხოელთა გამოსვლები მიკროფონთან, ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკის კონცერტები — ასეთი გადაცემები დიდი წარმატებით სარგებლობს.

სამშობლოში დაბრუნების ან სტუმრად ჩამოსვლის სურვილი, საქართველოში მცხოვრებ ნათესავ-ახლობლებთან კავშირის დამყარება, მსატვრული და მეცნიერული ლიტერატურის, ქართული ხალხური საკრავების შეძენის სურვილი, — აი ძირითადი თემები იმ წერილებისა, რომლებსაც საზღვარგარეთიდან ვიღებთ. საზოგადოებას მუდმივი მიმოწერა აქვს საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში, შვეიცარიაში, დასავლეთ გერმანიაში, არგენტინაში, იორდანიაში, სირიასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებთან. ხშირად ვიწვევთ სტუმრად იმ თანამემამულეებს, რომელთაც სამშობლოს ნახვა ენატრებათ. საანგარიშო პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა — სტუმრად გვეწვივნენ ქართველები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან. ვფიქრობთ, მომავალში სასწავლებლად და ზაფხულის არდადეგების პერიოდში დასასვენებლად მოვიწვიოთ თანამემამულეთა შვილები, რაც საშუალებას მოგვცემს შეასწავლოთ მათ ქართული ენა და ბავშვობიდანვე ჩაუნერგოთ სამშობლოს სიყვარული. მომავალში უფრო მასობრივად მოვიწვევთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც სამშობლოში მიიღებენ უმაღლეს განათლებას.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება, რომელიც სარგებლობს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დახმარებითა და სრული მხარდაჭერით, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი კეთილშობილი, მამულიშვილური მისია, — თქვა მოხსენების დასასრულ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ოთარ გიგინეიშვილმა.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პალიდი ჩხიკვაძის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. სიტყვით გამოვიდნენ: აკადემიკოსი სერგი ჯიქია: აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში უკვე დავამთავრეთ ლექსიკონებზე მუშაობა. საჭიროა ისინი დროულად გამოიცეს. საჭიროა აგრეთვე დროულად დაისტამბოს ქართული ენის თვითმასწავლებლები და სასაუბროები.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მეორე II: უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირურთიერთობის განმტკიცებაში დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ქართულ ეკლესიას, რომლის შესაძლებლობანი, სამწუხაროდ, აქამდე შედარებით ნაკლებად იყო გამოყენებული.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი ვახტანგ მსვანჯია: ძირითადად სრულდება ის დანაპირები, რომლითაც წარდგა მკითხველის წინაშე გაზეთის სარედაქციო კოლეგია 1969 წლის 8 აგვისტოს, როდესაც გამოვიდა „სამშობლოს“ პირველი ნომერი. ამის გაკეთება შეგვძლია მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის მხარდაჭერით და აგრეთვე ჩვენი საზღვარგარეთელი მკითხველების სურვილების გათვალისწინებით. გვჯერა, რომ არ დავკარგავთ მკითხველთა ნდობას, რაც რედაქციის მონდომებული შრომითა და გულწრფელობით შეიძინეთ.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ამირან ცამციშვილი: შარშან საზოგადოებამ ფრანგულის მცოდნე ქართველებისათვის გამოსცა ქართული ენის თვითმასწავლებელი, რომელიც დიდი რაოდენობით გავუგზავნეთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. ამასთან დაკავშირებით მივიღეთ მადლობის მრავალი წერილი როგორც ჩვენი თანამემამულეების, ისე საზღვარგარეთელი ქართველოლოგებისაგან, მათ შორის ცნობილი მეცნიერების ჰანს ფოქტისა და რენე ლაფონისაგან. შემდეგ ორატორმა წაიკითხა ამონაწერები რამდენიმე წერილიდან. მაგალითად, ჩვენი თანამემამულე დაიცდომელი გვწერს: „თვითმასწავლებლით ყველა გმაყოფილდა, ყველას მოსწონს როგორც საკუთარი ნამუშევარი. ჩემი წიგნი გოგომ და მისმა მეუღლემ წაიღეს და თავგამოდებით სწავლობენ. დაე ყველა თანამემამულეს გაეგოს თქვენი ჩვენდამი კეთილი ზრუნვის ფასი“.

საზღვარგარეთის რადიოგადაცემათა მთავარი რედაქტორი როლამ ჩაჩანიძე: ჩვენს რადიოგადაცემებს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთათვის მიაქვს ქართული ენის სითბო და მადლი, სამშობლოს ახალი ამბები. მათ ყურთასმენას ატკბობს ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკა. შევეცდებით მომავალში გავაფართოოთ ჩვენი გადაცემების პროგრამა.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე, პოეტი ფრიდონ ხალვაში: ვფიქრობთ, კიდევ მეტის გაკეთება გვმართებს. ჩვენს თანამემამულეებს, საზღვრის იქით მცხოვრებ ჩვენს და-ძმებს უნდა ვეუწყოთ საქართველოს მუსლიმანური კუთხის — საბჭოთა აჭარის დღევანდელი ცხოვრება.

საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების მდივანი სერგი ზუხბა: უცხოეთში მცხოვრები აფხაზი თანამემამულეები გვწერენ, რომ მოსწონთ გადაცემები ციკლიდან: „აფხაზი მეცნიერები“, „ჩვენი შემოქმედნი“, კარგი გამოხმაურება ჰქონდა ყოფილი ემიგრანტის, მხატვარ ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრების გამოფენის მიმოხილვას, ამიტომ მომავლისათვის უფრო მეტ დროს დავუთმობთ ასეთი ხასიათის გადაცემებს.



სურათებზე: ქვევით — კონფერენციის დარბაზში; ზევიდან: კამათში გამოსულნი — სერგი ჯიქია, ფრიდონ ხალვაში, ამირან ცამციშვილი, რაჟდა ჩაჩანიძე და სერგი ზუხბა.

კონფერენციამ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო სათანადო დადგენილება. კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.











პრეზიდიუმის წევრებად არჩეულნი არიან: ირაკლი აბაშიძე — პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; გრიგოლ აბაშიძე — პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; შალვა ამირანაშვილი — აკადემიკოსი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი; ზურაბ ანჩაბაძე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი; ილია ართმელაძე—საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში; გიორგი ახვლედიანი — აკადემიკოსი; ალადიმერ ახვლედიანი — პროფესორი; მარიკა ბარათაშვილი — მწერალი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი; შოთა ბუხრაშვილი — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; თამაზ გამყრელიძე — პროფესორი; ოთარ გიგინეიშვილი — თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი; ლევან გოთუა — მწერალი; რამაზ გოგლიძე — საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე; გაბო გოგიჩაიშვილი — ფერადი ბეჭდვის სტამბის დირექტორი; ვაშა გვასარია — პროფესორი, მუსიკისმცოდნე; პაატა გუგუშვილი — პროფესორი, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი; ლადო გუდიაშვილი — საქართველოს სახალხო მხატვარი; რაფიელ დვალი — აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; ნიკოლოზ დოლიძე — „ინტურისტის“ ბათუმის განყოფილების მმართველი; ვახტანგ მსვანჯია — გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი; მეორე II — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი; რაფიელ ელიგულაშვილი — საქართველოს სახალხო არტისტი; ვალერიან მაღრაძე — ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი; გივი მშლაძე — საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე; შოთა მესხია — პროფესორი; აკაკი ნიქარაძე — ჟურნალისტი; შანგ ოგოლაძე — პროფესორი, განათლების მინისტრის მოადგილე; შოთა როსტომაშვილი — თელავის რაიონულ გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქტორი; ლევან სანიკიძე — პროფესორი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის გამგე; აკაკი შანიძე — აკადემიკოსი; როლამ ჩაჩანიძე — საზღვარგარეთის რადიოგადაცემათა მთავარი რედაქტორი; ოთარ ჩუბინიშვილი — საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს ხილისა და მინერალური წყლების ტრესტის მმართველი; დავით ჩიბურდანიძე — „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველი; გიორგი წერეთელი — აკადემიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი; ამირან ცამციშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი; სერგი წულაძე — დოცენტი; გიორგი ძიძარია — პროფესორი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე; არჩილ ჭირაქაძე — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი; მედეა ჯაფარიძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; ჯუმბერ ჯიქიძე — უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი; ფრიდონ ხალვაში — პოეტი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარე;

საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეული არიან: იპოლიტე კერკაულიშვილი — ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი, ნათელა ტერელაძე — დოცენტი, მერი დავითაშვილი — კომპოზიტორი, ვაშა ოკუჯავა — პროფესორი, ბეჟან ჭანუყვაძე — პროფესორი.

გაიმართა ახლად არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა. საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ოთარ გიგინეიშვილი, მოადგილეებად — მარიკა ბარათაშვილი, პაატა გუგუშვილი, რაფიელ ელიგულაშვილი და ოთარ ჩუბინიშვილი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია იპოლიტე კერკაულიშვილი.

საგულვარგარეთელ მკითხველებს სამშობლოდან ულოცავენ



ეფრემ II,

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

თითოეულ მრს უჭირავს სმფლიოს განსაზღვრული ტერიტორია — მიწა-წყალი.

იგი ამ მიწა-წყალზე იზრდება, შემოქმედების ასპარეზი შედის, ქმნის თავის ეროვნულ კულტურას — სულიერსა და მატერიალურს, ზრდის მას ხარისხით და რიცხობრივ, — უფრთხილდება და თვით ამით დამტკბარ-დაპურებული შემდეგ თაობას გადასცემს უფრო გამრავალებულ-დაშვილობისა და გაკეთილშობილებისათვის.


ბინადარს უყვარს თავისი სამშობლო კუთხე ისე, როგორც ბავშვს თავისი დედა; ერს ახსოვს ის ტკბილი რძე, რომელსაც სწოვდა დედის მკერდის საღმრთო ჭურჭლიდან და თუ საჭირო გახდა, თავს დახდების მისთვის, არ დაიშურებს თვით სიცოცხლესაც.

ქართველი ერი არასდროს ბოგანო არ ყოფილა, მისი სამშობლო ყოფილა და არის ის პატარა მონაკვეთი, რომელიც თვალმარგალიტით მოჭედილი ძვირფასი ხატივით ასვენია ორ გაყრილ ძმათა, შაკი და კასპიის ზღვებს შორის.

ბედრს სურდა და სურთ — ხელში ჩაეგდო ეს ნამდვილად „ცაფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტი" მხარე და ვერა და ვერ მოახერხეს დაპყრობა მისი... მხოლოდ კალთები ჩამოაჭრეს, დიახ, ამ გამუდმებულ ხმლისა და ფარის ტრიალში, ამ მძიმე პირობებში, ქართველმა არამცთუ დაივიწყა წიგნი და მწერლობა, — პირიქით, მოახერხა საკუთარი კულტურა, ენა და მწიგნობრობა მისი განვითარების უმაღლეს წერტილამდე აეყვანა.

ქართველს კარგად ესმოდა, რომ თავისი საკუთარი ბედის მფლელი თვითონვე იყო და სულ ადრე დადგა დიდ სულიერ და მატერიალურ კულტურულ ცხოვრებას... სულ ადრე ხუთსავე ხელოვნებაში მოიპოვა გამარჯვება და მსოფლიო ოჯახის დიდ საგანძურში შევიდა საკუთარი ვანძით, ვითარცა თანასწორი თანასწორთა შორის.

უყვარდა და უყვარს თავისი ერი, თავისი მამული... პატივსა სცემდა და სცემს მეზობელთა, დიახ, პატივს სცემს პატრიოსან მშრომელთა, კეთილად აღზრდილ ადამიანს და უწინარეს ყარის მეზობელს. ასე მჯელობდა და მსჯელობს.



ვერიკო ანჯაფარიძე,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ვილოცავთ ახალ წელიწადს და წრფელი გულით გისურვებთ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მრავალ სიხარულს. ალბათ, ყოველი ქართველის ფიქრი, სადაც უნდა იყოს იგი, დღეს სამშობლოს, მის დღეგრძელობას, მის კეთილდღეობას ეკუთვნის. ხშირად ვფიქრობ



თქვენზე და მინდა ვუსურვო განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომლებიც ჩვენს საზღვრებს იქით იზრდებიან, არ დაკარგონ ქართველობა, არ დაივიწყონ დედაენა, ინახულონ საქართველო.

იცოცხლეთ, იბედნიერეთ!



ილია ვეკუა,

აკადემიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი

მინდა „სამშობლოს" საშუალებით მხურვალედ მივულოცო ახალი წელიწადი ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებსა და მათ ოჯახებს.

ვუსურვებ უცხოეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას არასოდეს დავიწყებოდეს მშობლების ქვეყანა. მინდა იცოდნენ, რომ მათთვის მუდამ ღიაა ქართული უნივერსიტეტის კარები, სადაც ამჟამად უცხოეთიდან დაბრუნებული რამდენიმე ქართველი მუშაობს და წარმატებით ეუფლება მეცნიერებას დედაენაზე.

აკაკი შანიძე,

აკადემიკოსი



საშობლოსაგან სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა დროს მოწყვეტილ ქართველებს, ჩვენს დებსა და ძმებს, ჩვენს სისხლსა და ხორცს, მხურვალედ ვულოცავ ახალ, 1971 წელს და სულითა და გულით ვუსურვებ, რომ მტკიცედ დაიცვან წმიდათა-წმიდა — ქართული ენა და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებანი.



სერგო კორძაიძე,

უცხო ენათა ინსტიტუტის ლექტორი, ყოფილი ემიგრანტი

სტუდენტის ფიქრს შორს შეიტყობენ, როცა შეიძენენ, სამშობლოსას კი მაშინ, როცა დაკარგავენო. ეს ჭეშმარიტება უგრძვნია ალბათ ყველას, ვისაც თუნდაც რამდენიმე დღით დაუტოვებია თავისი ქვეყანა.

მაშ, რა შემიძლია ხახაულწლოდ, ამ საერთო მილოცვის დღეს ვუსურვო წლების მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილ იმ თანამემამულეებს, რომელთაც თავიანთ ქვეყანაზე კარგის გაგონება გულს ტკბილად აუძგერებს და ცუდი კი დააბუჭარებს? ასრულებოდეთ სანუკვარი ოცნება — დამტკბარიყვნენ საკუთარი ქვეყნის და თავისიანების ნახვით.

კვირფასო სამწყსოვ!


ლობს თითოეული პატრიოსანი მშრომელი ადამიანი. მთის არწივის — ეაჟას სიტყვით რომ ვთქვათ, — „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მტერსაც კი გაეცინება".


ეს უნდა იცოდნენ მათ, ვინც კატასტროფას უმზადებს მსოფლიოს, ვინც ლამობს სხვისი უბედურების ხარჯზე ოქროზე ოქრო დაუმატოს ნაყროვანმა!

ძვირფასო სულიერო სამწყსოვ!

გილოცავ ახალ წელიწადს! გისურვებ: ქამთა მშვიდობიანსა, ბარაქიან შრომას და კეთილ განზავებულ ჰაერს, კეთილ გამოცემასა ნაყოფთა ქვეყნისათა, გამრავლებასა, სულიერ კულტურას და ტექნიკის აღმავლობას.

იყავ კეთილი მეზობლებით, გულსავსე და ბედნიერ უკუნითი უკუნისამდე!





მამისეული სახლი

ადრიანად დედასთან ერთად ადგა. სარმელში სიბნელე იცქირებოდა, ცივ-გომბორის ჩამოთოვლილი მთები ჯერ არ მოწანდარებულ სამშაოდ წასვლამდე ორ საათზე მეტი დრო ჰქონდა და დედა-შვილმა წუხანდელი საქმე გააგრძელეს.

შინ ტრიალებდა ფიქვის ფიცრის ჭერისა და იატაკის, გაჯით ახლად შელესილი კედლების ,სუნი. ორი ადამიანი თითქმის უჩუმრად უგებდა ერთმეორეს. თუმცა ავეჯის გადადგმა-გადმოდგმაში იყო რაღაც სახეიმო, იმგვარი, რასაც ამ პატარა ოჯახში დიდი ხანია ელოდნენ და ახლა სრულდებოდა.

როცა მაგდებმა, ხაკმებმა და საწოლებმა თავიანთი ადგილები დაიჭირეს, დედა საუზმის სამზადისს შეუდგა. ვაჟი მარანში ჩავიდა. მარანი მაძისფული იყო. ქვევრების ბოლოს მოზრდილი საწნახელი იდგა. სოფელში ახლა ხელის მანქანებით წურავენ ყურძენს. ფენგიზი კი მამაპაპურად, თვითონ ჩადგება ხოლმე საწნახელში და შარბათივით ტკბილი მაჭარი ჩრიალით მოედინება ქვევრებში.

ფენგიზ ბერუაშვილი შავ საფერავს ახსმდა პატარა კასრიდან და ფიქრობდა, მამაზე ფიქრობდა ვაჟი.

მაშინ ფენგიზი სულ ჩვილი ყოფილა. ომი დაწყებულა და სხვა მამავით ვაჟკაცებთან ერთად რომან ბერუაშვილიც სამშობლოს დასაცავად წასულა.

ეკატერინეს მხოლოდ ორ წელიწადს მოსდიოდა მეუღლის წერილები. მერე შეწყდა ჯარისკაცის ბარათები. ასეთებს ახლა უგზოუკვლოდ დაკარგულებს ეძახით. იქნებ ასე სჯობდეს ხოლმე. მოიყვანე ის გოგო და გამახარეო.

ასე იქნებაო, დედი, უთხრა ვაჟმა და მერე გულშიც ჩაიხედა — სახლი ხომ სწორედ ამიტომ აშენდაო.

ისაუზმეს. ვეცდები, ადრე მოვიდეო, დაიბარა თენგიზმა და წამოდგა. გზად ვენახში გაიარე. გუშინ სარეგი მოიტანეს, ჭოხში შევზიდე და ნახეო, — დაადევნა დედამ.

ორღობეში გიორგი შემოხვდა, ბიძა-ძმისწული ლაპარაკით გავიდნენ შარაზე.

— ბავალ ახალი წელიწადი შემოაბიჯებს, ღმერთო, უხვი კალთა გამოატანეო, — ისე თქვა გიორგი ბერუაშვილმა, თენგიზს მოეჩვენა: ახალი წელიწადი მანავის ციხესთან მოსულა და ეს-ეს არის დაეშვება სოფლისკენ.

ჯემალ ჟურხული



შ ა რ ა დ ე ბ ი

შარადა გამოცანაა. შარადებში სიტყვები ერთმანეთს ერწყმიან თავიანთი ნაწილებით და ქმნიან გამოსაცნობ სახელს.

შარადა გასართობიც არის და გონების სავარჯიშოც.

ბავშვებო! შარადა სწორად რომ ამოვხსნათ, ჯერ დაკვირვებით უნდა წავიკითხოთ, შემდეგ ცალკეული სახელების ან სიტყვების ნაწილები (ბგერები, მარცვლები, ანდა მთლიანი სიტყვები) შევაერთოთ ისე, როგორც შარადაშია მითითებული. ზოგან სიტყვის ნაწილის გადახმა დაგვჭირდება, ზოგან — შეცვლა, დამატება ან გამოკლება.

შარადის ამოხსნის თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ შემდეგი მაგალითი:

„არ იმოძრაო შენ თუნდაც,
ის არ ჩერდება წამითაც,
შენს მკერდში ჩასახლებული
მუშაობს დღით და ღამითაც.
დაურთე თავში ამ სიტყვას
მისივე წინა მარცვალი, —
ყურს თუ დაუგდებ მის სახელს,
თვითონვე გეტყვის, რაც არი.

რა თქმა უნდა, აქ პირველ სიტყვაში ნაგულისხმევია გული. შემდეგ შარადა გვეუბნება, ამ სახელს წინ თავისივე პირველი მარცვალი (გუ) დაუმატეთო. ჩვენც დავუმატოთ, ჰოდა, აი, უკვე ახალი სიტყვა მივიღეთ: — გუგული. პასუხიც ეს არის.

ახლა გთავაზობთ პოეტისა და მთარგმნელის შოთა ამირანაშვილის საახალწლო შარადებს, გამოცანას, ლექსს.

ხეზე რომ ლაღად შრიალებს,
თუ იცი მისი სახელი,
მაშინ იმ სიტყვას პირველი
მარცვალი გამოაკელი.
მერე დანარჩენს სხვა ბგერა
შუაში ჩაემატება,
მოსვლა თუ დააგვიანა —
უთუოდ მოგენატრება.

(ცაცხვი)

თავდასრილი განაბულა
იგი ბუჩქის ძირას,
ცისფერთვალა ყვავილია,
გიკრეფია ხშირად.
მეორე კი — განთიადზე
ჯერ რომ ისევ გძინავს,
ეპკურება ვარდ-ყვავილებს
მარგალიტის მძივად.
წინა ბგერა შეუცვალე
ბოლო სიტყვას ახლა, —
ახალი წლის დასაწყისი
თვის სახელი გახლავს.


(ოყრცვეი)



თოვლის პაპა ლაპარაკობს...

აჰა, ეს სვეტლანკერი
ძლევის წელი ახალი,
მოაგელვა თვთრი რაში,
დახვდა ჭერი მაღალი.
მოვიდა და თანამგზავრად
პაპა მოჰყვა თოვლისა,
მან ბავშვები მოიკითხა
უპირველეს ყოვლისა.
თოვლის პაპა ლაპარაკობს,
კბილებს აჩენს კრიალას,
თითქოს მართლა პაპა იყოს,
თოვლის პაპა კი არა.
— ვარსკვლავები ციმციმებენ,
თუ შუქსავსე თვალები,
ჩემი ნორჩნო მეგობრებო,
გულით მოგვასალმებით.
დაილოცოს, პატარებო,
თქვენი გამრჯე ხელები,
რა ლამაზად მოგიქარგავთ
ნაძვი ნაირფერებით.
მე საჩუქრებს არ მოვაკლებ
თქვენისთანა ყმაწვილებს,
ახლაც ბურჯინს გადმოვიდებ,
ყველას გაგინაწილებთ.
დაურიგა საჩუქრები,
გაახარა გულითა,
თან ცეკვავდა მათთან ერთად,
ნაძვს გარშემო უვლიდა.

საახალწლო სიმღერა



მერი დავითაშვილის მუსიკა

რევაზ მარგიანის ტექსტი

ჩოფრენილა, მოფრენილა,
მეგობრებო, აბა, ტაში,
ახალი წლის ლურჯი ცხენი
ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში!
გაგვახარა, აგვამღერა,
ყველი ჩაგვიგემრიელა,
დელი ოდელია, დელა,
დელი დელა, დელი დელა!

დაესწარით მრავალს, მრავალს,
ჩვენი ქვეყნის ყველა ბავშვი, —
ჩვენს სიხარულს და მომავალს,
მეგობრებო, აბა, ტაში.
გაგვახარა, აგვამღერა
და ერთ ხმაზე ვმღერით ყველა
დელი ოდელია, დელა,
დელი დელა, დელი დელა!

ზ ა მ თ ა რ ი

თვე გასულა ნოემბრის,
დეკემბერი დამდგარა,
გადათეთრდა ულრანი,
თოვლი მოდის ბარდნალა.
ზის სოროში ბაჭია,
გრძელყურა და ტანჩია,
არც წყურია, არც შია,
ტანზეც თბილად აცვია,
მაგრამ მაინც კანკალებს,
ვერ გამთბარა სრულებით,
მიწის ზემოთ მოუნახს
გაყინული ყურები,
ცივა, ცივა! ზის და წუხს,
აჭიცინებს ცივა კუდს
და თან ნატრობს...
— რას ნატრობს?
— ყურებიან ლამაზ ქუდს.

დ ა თ უ ნ ი ა

წევს დათუნა ბუნაგში,
არ აწუხებს ზამთარი,
ანდა რა შეაწუხებს,
თბილ ქურქშია ჩამთბარი.
ძინავს, ძინავს, სულ ძინავს,
შიშილს როგორ გაუძლებს?
თათი უდევს პირში და, —
ესეც მისი საუზმე!
წუწნის, ლოკავს დღედაღამ
და ამ სულელ გოლიათს,
ალბათ თავის თითები
კამფეტები ჰგონია.



გ ე მ ი ს ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე

გ ა მ ო ც ა ნ ა

თუმც ზამთრობით იცის მოსვლა
თოვასა და ყინვაში,
სითბო, სიხარული შეაქვს
თითეულის ბინაში.
ვიდრე ჩვენთან მოვიდოდა,
შორი გზები უვლია,
ქერცლისფერად შეჭირხლული,
ნორჩი არის სრულიად.

(ცაცხვი)

„ს ა ლ ა მ უ რ ა“

ერთხელ ქონდარეთის ხელმწიფის ვაჟმა უცნაური სიზმარი ნახა...

თუმცა ჯერ სჯობია ის გაამბოთ, რა ქვეყანაა ქონდარეთი, ანდა ვინ არის მისი ხელმწიფე.

სიმართლე თუ გინდათ გაიგოთ, ასეთ ქვეყანას, სახელგანთქმული მოგზაურიც რომ იყოთ, ახლა ვერსად აღმოაჩენთ. მე კი სარწმუნო წყაროებიდან ვიცი: ქონდარეთი ნამდვილად არსებობდა. მაშინ სხვა დრო გახლდათ, მაშინ მთელ დედამიწაზე მხოლოდ მშვენიერი ზღაპრული ქვეყნები იყო. და ამ მშვენიერ ქვეყნებში ცხოვრობდნენ თქვენთვის ცნობილი და საყვარელი ზღაპრების გმირები.

ყველა ზღაპარი, რომელიც თქვენ გაგიგონიათ ან წაგიკითხავთ, რა თქმა უნდა, იმდრორინდელია.

ქონდარეთს, ქონდრისკაცების უოამაზეს ქვეყანას — ხელმწიფე ქონდარ XV განაგებდა. იგი ამაყობდა მეფური შთამომავლობით. თუმცა გვეღარ მეტად მაინც ის ეამაყებოდა, რომ თავისი ქვეყნის მეთხუთმეტე მეფე იყო. არც მეტი, არც ნაკლები. სამინლად დასწყდებოდა გული, მეთოთხმეტე ან მეთექვსმეტე მეფე რომ ყოფილიყო.

ქონდარეთს დედოფალიც ჰყავდა. დედოფალს ერქვა ქონდარინე.

ქონდარეთის უფლისწულს კი ქონდარუხი ერქვა. მან ერთხელ მეტად უცნაური სიზმარი ნახა — დაესიზმრა ციცინათელების ქვეყანა და მზეთუნახავი. მზეთუნახავს —ბაიას ყვითელი ფურცლებისაგან შეკერილი კაბა ეცვა და ციცინათელებით გარშემორტყმული, ტყეში მიდიოდა.

ოჰ, რა ლამაზი მზეთუნახავი იყო!

იმ დღიდან ქონდარუხი გამოიცვალა.

— მომიყვანეთ ციცინათელების ქვეყნის მზეთუნახავი! მინდა მასთან ერთად ვითამაშო! — ღრიალებდა იგი.

ციცინათელების ქვეყანა მზეთუნახავის ბაიას ადგილსამყოფელი კი მხოლოდ ჭიამაიების მწყემსმა ბიჭუნამ — სალამურამ იცოდა.

სალამურა დაჰპირდა ბაიას, მზის ამოსვლას გიჩვენებო.

მაგრამ ქონდარეთის ხელმწიფემ ღამის შიკრიკებს მოატაცებინა ბაია უქნარა და ძილისგუდა უფლისწულის გასართობად. სალამურამ ბევრი გაჭირვება და ხიფათი გამოიარა, მაგრამ ბაია მაინც გაათავისუფლა.

არჩილ სულაკაურის ეს წარმტაცი ზღაპარი, რომელიც შეიყვარეს ჩვენმა ნორჩებმა, ახლახან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა საბალეტო საჩუქრად მოუმზადა დედაქალაქის ნორჩებს. რეჟისორმა რობერტ სტურუამ, მხატვარმა ჯოკი იგნატოვმა, კომპოზიტორმა ნოდარ გაბუნიამ და ქორეოგრაფმა იური ზარეცკიმ შექმნეს მშვენიერი სპექტაკლი, მხიარული, ფერადოვანი, სიხარულითა და ხალისით აღსავსე.

...თეატრში მისულ ნორჩებს ჯერ საოცარი ფერებით მოხატულმა ფარდამ მოხტაცათ თვალი, შემდეგ ფარდა აიხადა და მხიარულმა, კუწუბიანმა, ჭრელ-ჭრელმა მატარებელმა აიტაცებაში მოიყვანა პატარები. სპექტაკლის გმირებით დატვირთულ მატარებელს ზღაპრული სამყაროსაკენ აეღო გზა და მაყურებლებით სავსე დარბაზიც თან მიჰყავდა თითქოს. პატარების ერიამული, სიცილი და სიხარული თან სდევდა მის საზეიმო სვლას. წარმოდგენის ბოლოს კი მსახიობებმა სცენაზე აიტაცეს ნორჩები, ბედნიერი ბავშვებით დახუნძლულმა მატარებელმა კიდევ რამდენიმე წრე შემოხაზა. ეს, ალბათ, ყველაზე ბედნიერი წუთი იყო მათთვის, როცა საყვარელ მსახიობებთან ერთად მხიარული მატარებლით მგზავრობდნენ...


„სალამურას“ მოსწავლეთა სამაგამთრო არდადეგების მთელ პერიოდში, დილა-საღამოს, უჩვენებენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

როლებს ასრულებენ: მეფე ქონდარ XV — ბორის წიფურია (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), დედოფალი ქონდარინე — გურანდუხტ გაბუნია, უფლისწული ქონდარუხი — რეზო ჩხეიძე, ბაია — დარეჯან სუმბათაშვილი, სალამურა — დავით კვირცხალაია, ქონდართუხუცესი — ჯემალ ლაღანიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) ფრინტა—ზეინაბ ბოცვაძე. და სხვები.



სურათზე: სცენა სპექტაკლიდან — „სალამურა“

გვახსოვდეს ჩვენი წარსული



თბილისის წარმოშობა

პროფესორი
შოთა მესხია

თბილისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. მართალია, მისი, როგორც ქალაქის ისტორია 1500 წლის წინათ დაიწყო, მაგრამ მოსახლეობის არსებობა აქ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულიდან არის ცნობილი.

თბილისსა და მის მიდამოებში ამჟამად მდიდარი არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული. ქართველმა არქეოლოგებმა დიდუბეში მიაკვლიეს თბილისის ტერიტორიის უძველეს მცხოვრებთა, ენეოლითის (ქვისა და ლითონის) დასაწყისი ხანის ადამიანთა ნაკვალევს. ენეოლითი კი კავკასიაში იწყება ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის დამლევსა და III ათასწლეულის დამლევამდე. არქეოლოგების დასკვნით, ამ უძველეს ხანაში თბილისის მიდამოებში უკვე ერთი მთლიანი კულტურა, რომელიც თვითმყოფად იბერიის კულტურაზე, მაღალ კულტურას ქმნიდა.

დღესაც საინტერესო გათხრებს აწარმოებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი დიდიმის მასივში, მტკვრის მარჯვენა მხარეს. აქ აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის, ეგრეთ წოდებული მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის ძლიერი დასახლება იმ დროისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ნივთებით. აქვე, დიდომში, აღმოჩნდა შემდეგი ხანის, კერძოდ, გვიან-ბრინჯაოს და ადრე-რკინის ხანის, ძველი წელთაღრიცხვის II და I ათასწლეულების მიჯნის, სოფლის ტიპის დასახლება და იმ დროის სამარხებიც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძველის (ხის) მორებისაგან შეკრული სამარხი, სადაც, თიხის ჭურჭელთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის საომარი იარაღები და ცხენის აკაზმულობა.

გვიან-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა მოპოვებულია აგრეთვე საბჭოს ქუჩის და სანაპიროს მშენებლობისას, ნარიყალაზე, ღრმაღელეში, ნავთლუღში, ორთაჭალჰესის აღმოსავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ბორცვზე და სხვაგან.

აქ აღმოჩენილი ნივთები და მათი შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი დედაქალაქის უძველეს მოსახლეთა კულტურის დონისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ, მათ ურთიერთობაზე ახლო თუ შორეულ მეზობლებთან. ირკვევა, რომ გვიანი ბრინჯაოს თუ ადრეული რკინის ხანაში მდინარე მტკვრის ორივე ნაპირი საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

თბილისის მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა და დაწინაურდა მომდევნო საუკუნეებში. დღევანდელი კეცხოველის სახელობის ქუჩაზე აღმოაჩინეს ბაქტრული (შუა აზიის უძველესი სახელმწიფოს) მონეტა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეებს მიეკუთვნება. საკმაო რაოდენობით არის აღმოჩენილი მომდევნო საუკუნეების პართული (ძველი ირანის), რომაული, ბოსფორული (ყირიმის ნახევარკუნძული) და სხვა ქვეყნების მონეტებიც. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ თბილისის იმ დროის მოსახლეებს უკვე ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა როგორც შედარებით ახლობელ, ისე შორეულ მეზობლებთან.

თბილისის შემდგომ ზრდას, მის გადაქცევას ქალაქად განსაკუთრებით ხელი შეუწყო მისმა მდებარეობამ ისეთ გზაზე, რომელიც საერთოდ საქართველოსა და კერძოდ, თბილისს აკავშირებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან, სომხეთთან, ირანთან და სხვა სახელმწიფოებთან. ადრეელინისტური ხანიდან თბილისის მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობდა ტრანსკავკასიის წყლის დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც თბილისზე გადიოდა და საქართველოს აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. მტკვრის ხეობით მომავალი ეს გზა თბილისთან მთა-გორებითა და მდინარის ვიწრო მაღალკლდოვანი ნაპირებით ადვილად იკეტებოდა. ამასთან, მტკვრის ვიწრო, კლდოვანი კალაპოტი (მეტეხთან) საუკეთესო ადგილი იყო ხიდის გასადებად, და, მაშასადამე, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის დასაკავშირებლად.

თბილისის ქალაქად გადაქცევისათვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმასაც, რომ იგი იყო სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით დაწინაურებული რაიონების ერთგვარი ცენტრი.

თბილისის მდებარეობა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული თვალსაზრისითაც — იგი იმდროინდელი დედაქალაქის — მცხეთის მისადგომებს იცავდა. ამ გარემოებისათვის ადრევე მიუქცევიათ ყურადღება და უკვე ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნისათვის ახლანდელი ნარიყალის მიდამოებში ციხე აუშენებიათ.

ჩვენთვის დღემდე ცნობილ ქართულ წერილობით წყაროებში თბილისი პირველად IV საუკუნის მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება როგორც ციხე-სიმაგრე. ამ დროიდან გაჩნდა პირველი ცნობები თბილისის შესახებ უცხოურ (ბერძნულ-რომაულ) წყაროებშიც.

ქართლის მეფეებს თბილისისა და მისი ციხის გაძლიერებისათვის ზრუნვა განსაკუთრებით V საუკუნის მეორე ნახევრიდან დაუწყიათ. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ამ დროს უკავშირდება თბილისის გადაქცევა ქალაქად.

თბილისის შემდგომ შენებასა და ქალაქად გადაქცევას ძველი ქართული საისტორიო მწერლობა და ასევე გადმოცემაც, ქართლის მეფეს ვახტანგ გორგასალს (452-502 წლები) მიაწერს. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი მოგვითხრობს: „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა და საფუძველი ოდენ დაედვა“, მაშასადამე, ვახტანგმა დაიწყო თბილისში ქალაქის შენება, მაგრამ მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოასწროო. როგორც ჩანს, მეფე ვახტანგს ვერ მოუსწრია დაწყებული დიდმნიშვნელოვანი საქმის დამთავრება და იგი თავისი მემკვიდრისათვის უანდერძებია. ვახტანგის შემდეგდროინდელმა მეფემ დაჩიმ, კვლავ ძველი ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი“ და იგი ვახტანგის ანდერძისამებრ, „სამეფო სახლად“, სამეფოს სატახტო ქალაქად აქცია.

ამრიგად, VI საუკუნის დამდეგს თბილისი ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა და ქვეყნის პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადმოინაცვლა. ამას, ცხადია, თან სდევდა მოსახლეობის გამრავლება თბილისში და მცხეთის მოსახლეობის შემცირება, ამიტომ წერდნენ ძველი ქართველი ისტორიკოსები, რომ მეფე დაჩის დროს, თბილისს კაცნი დასდებოდესო, თბილისი ეშენებოდა და მცხეთა თხელდებოდაო.

ქალაქ თბილისის პირველნდელი მოსახლეობა გაჩნდა იმ უბანში, სადაც თბილი, გოგირდოვანი წყლების აბანოებია. ქალაქმაც სახელწოდება ამ „თბილი“ (ძველი ქართული „ტფილი“) წყლებისაგან მიიღო — უძველესი დროიდანვე ამ უბანს „ტფილისი“ ეწოდებოდა.

ქალაქის მოსახლეობა იზრდებოდა მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, ისე რომ უკვე VII საუკუნის დამდეგისათვის ქალაქის ტერიტორია აბანოების უბნიდან დღევანდელ ბარათაშვილის სახელობის ქუჩასა და ხიდამდე აღწევდა.

მოსახლეობა ადრე გაჩნდა მტკვრის მარცხენა ნაპირზეც, დღევანდელი ავლაბრის (ძველი ისანი) ტერიტორიაზე. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირები ძველიდანვე ხიდით იყო დაკავშირებული. ერთადერთი ხიდი დღევანდელ მეტეხთან იყო გადებული და უძველესი წყაროების მიხედვით, „ქალაქის ხიდად“ იწოდებოდა.

თბილისის მესამე ნაწილს ქალაქის ციხე-სიმაგრე შეადგენდა, რომელიც დღევანდელი ნარიყალის მიდამოებში იყო აღმართული და რომელსაც ქართული წყაროები „კალას“ უწოდებენ. ამ ციხის კედლები ორი მხრით, ქვემოთ მტკვრისაკენ ჩამოდიოდა და საკუთრივ ქალაქს ყოველმხრივ კეტავდა.

ამრიგად, თბილისის ქალაქად გადაქცევა ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. ქალაქის წარმოშობის პროცესი კი განაპირობა იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიურმა მოვლენებმა, რითაც ხასიათდებოდა V-VI საუკუნეების მიჯნის ქართლის სამეფოს განვითარება — ეს იყო ადრეფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა და გამარჯვება იმ დროის საქართველოში.

წარმოშობის დღიდან თბილისი ყოველთვის იყო საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი, ქართული მიწა-წყლის შეკრება-თავმოყრის ინიციატორი, ქართველი ხალხის დამრაზმველი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მშვიდობიან მშენებლობაში. ამიტომაც ასე დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა ჭარმაგი, მაგრამ მარად ახალგაზრდა და მზარდი დედაქალაქის 1500 წლისთავი.

სურათზე: თბილისის ძველი უბანი. ნარიყალა.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

თრიალელი მეომარი

ქართველ არქეოლოგთა ყოველი ახალი მონაპოვარი ახალ ფურცელს მატებს ჩვენი ქვეყნის უშორესსა და უმდიდრეს წარსულს. უცნობი ნაქალაქარებისკენ და სამარხებისკენ იკვლევენ საკალს ისინი კოლხეთსა თუ ქართლში და ქვესკნელის ტყვეობიდან დახსნილი ძველი დიდების ყოველი ნაშთი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წმინდა ნაწილებად გვესახება.

გავყვეთ იმ ბილიკებს, საითაც იხმო წარსულის ეჭომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლულთა ერთი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი.

თრიალეთი, ბედენის ანუ, როგორც ვახუშტი იტყოდა, ბენდერის მთა, კლდეკარს რომ უდგას მხარში და სოფელი კლდეეთი ჩაესვამს უბეში; კლდეებს ზემოთ, ზეკანზე მომოფანტულა გორასამარხები ანუ ყორღანები. ამ გორასამარხებში განისვენებს ქართველ ტომთა ბრინჯაოს ხანა, განისვენებენ „თრიალელი ბრინჯაოს შეომრები“ და მათ სამფლობელოში შეჭრილი არქეოლოგები იშვიათად თუ ბრუნდებიან ხელცარიელნი.

ასე იყო შარშან ზაფხულზეც: გერმანე გობეჯიშვილის ექსპედიცია დაუბრუნდა ბედენის ზეგანს, სადაც მანამდე რვა გორასამარხი გაეთხარათ და მათგან, მძარცველთა წყალობით, სამიოდ წააწყდნენ ნაშთებს, ძველი საზოგადოების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად რომ გამოდგებოდა. სამაგეროდ, შარშან გათხრილი ოთხ გორასამარხიდან დიდი მეცნიერული მნიშვნელობის სიმდიდრე ამოიღეს, თუმცა იქაც დაბედათ მძარცველის კვალი.

...რა გადაურჩა ხელმრუდ ადამიანებს?

...ნამსხვრევებად ქცეული ნაკაწრი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი და ქვის მოზრდილი, ჯვარგამოსახული ფილა, ოდესღაც, ალბათ, ზედაპირზე აღმართული და საფლავის ჩანგრევისას დაძირული.

— საიდან აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის სამარხში ჯვარამოკაწრული ფილა?

— დასაშვებია, რომ ეს ფილა აღემართათ ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში და კობტა ყორღანული ყრილი წმინდა ადგილად და სალოცავად გადაქცეულიყო; უფრო კი სავარაუდოა, რომ ჯვრის გამოსახულება, რომელიც ქრისტიანობამ წარმართული რელიგიური სიმბოლოებიდან ისესხა, თვითონ სამარხის მშენებელთა ნახელავი იყოსო, — ფიქრობს მეცნიერი.

კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი შედეგებით დაგვირგვინდა რიგით მე-10 გორასამარხის გათხრა, რომლის ყრილქვეშ, ღორღშერეულ თიხნარ დედაქანში ამოჭრილი იყო სიგრძით 5, სიგანით 4 და ორნახევარი მეტრის სიღრმის, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაქანებული ორმო. ცისფერი აყალოთი მოტკეპნილი ფსკერი შოფარდაგული ყოფილა ჰილობის ფარდაგებითა და შავი ქეჩით. ამას მეტყველებს ალაგ-ალაგ შერჩენილი ნაკუწები. ორმოს კედლებიც ავალოთი შეულესავთ, ხოლო თავი გადახურული იყო ხის ძელებით, რომელიც მუხის ექის მსხვილ ბოძს ეყრდნობოდა.

გათხრის დროს გაირკვა, რომ სახურავი ერთგან ბასრი ცულით ჩაუჭრიათ განძის მაძიებლებს, და კიდეც გაუძარცვიათ სამარხის შეაგული; კიდენი კი ხელშეუხებელი დარჩენიათ, რადგან სწორედ მძარცველთა თვალისასახვევად, მოხერხებულად შეუნილბავთ თრიალელი მეომრის ჭირისუფლებს დედაქანის მსგავსი მკვრივი მიწით. ეჭვი, რომ ამ მიწას ქვეშ შეიძლებოდა ყოფილიყო მიცვალებულისათვის „ომქვეყნად“ საგზლად და საჩუქრად შენაწირი, მხოლოდ არქეოლოგებს შეიძლებოდა აღძროდათ.

მკვლევარი მით უფრო მიჰყვა გუმანს, რაკი სამარხის შიგნით სპილენძის ფირფიტებ შეკული ხის დიდი ოთხთვალიანი ეტლი აღმოჩნდა თრიალელი მეომრის ნატამალით (ოთხდენიმე ძვალიღა ეგდო).


ლამაზი ეტლი, ხის და თიხის მოჩუქურთმებული ჯამ-ჭურჭელი, ამოტვიფრულ ორნამენტიანი ბაჯრის ნაგლეჯი, ურმის გასწვრივ „შენიღბულ“ კედლებში ჩატოვებული თიხის დიდი დერგები, ხის კოლოფები, წვრილი წნელით მოწნული კალათები თუ გოდრები, წმინდად შალის ქსოვილი და შემძივული აბრეშუმი და, რაც მთავარი, ახალგაზრდა კაცის ჩონჩხი (რომელიც ურმის უკანა თვალთან მოკუნტულა), საიდუმლოებით მეტად რომ გაუყოლებიათ მიცვალებულისათვის, ნათლად მეტყველებს თრიალელი „ბრინჯაოს“ მეომრის წარჩინებულობაზე.

წარჩინებული და ღირსეული ვოფილა, რაკი ასეთი პატივითა და სიყვარულით შეუწირავთ მისთვის საგზალი, იშვიათი ბზინვარების ჯამ-ჭურჭელი, შალისა თუ შემძივული აბრეშუმის ქსოვილით სავსე კალათები და... ადამიანი.

...ფრთხილად შეავლეთ ხელი სპილენძის ბრტყელ ეჩოს, შაჰპრიალა, წვეულებრა თუ შვინდისფრად მოწურნაჭებულ დერგებს, საიდუმლოებით მოცულ, იქნებ სათილისმე ყუთებს, მძივებით სავსე კალათას, რომლითაც თრიალელნი ხვასურული ტალავრის მსგავსად იცვამდნენ თურმე სამოსს, საზედაშე სასმისების ნამსხვრევებს...

... ფრთხილად... ყოველივე ეს ხელქმნილია უკვე ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის მეორე ნახევარსა ან II ათასწლეულის დასაწყისში და მაინც საოცრად საცნაური და ახლობელია მოყვანილობით, დანიშნულებით, აღმოფრთოვანებელი გამძლეობითაც და იმ ნატიფი სილამაზით, რის აღქმასა და შექმნაში თურმე არ ჩამოგვეურდებოდნენ ბრინჯაოს ხანისდროინდელი წინაპარნი.

ნანა ლვინეფაძე



სურათზე: წარჩინებული მეომრის სამარხი

ვინ იქნება წონას მეტოქე?

საკითხი, თუ ვინ იქნება წონას მეტოქე, ჭადრაკის ყველა გულშემატკივარს აინტერესებს.

ერთი პრეტენდენტი უკვე ცნობილია. ეს გახლავთ ძველი მეტოქე — ალა კუშნირი, რომელმაც უკვე ორი მატჩი წააგო მსოფლიოს ჩემპიონთან და 1972 წელს, თუ საშუალება მიეცა, მესამედ ამპირებს მასთან თამაშს. მაგრამ ვინ იქნება პრეტენდენტთა პაექრობის კიდევ 3 მონაწილე, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მომავალმა საზონთაშორისო ტურნირმა.

საზონთაშორისო ასპარეზობაში 5 საბჭოთა მოჭადრაკე გამოვა. როგორია მათი პერსპექტივები?!

ნანა ალექსანდრიამ 21 წლის ასაკში პირდაპირ საოცარი გამარჯვება იზეიმა. 1967 წელს „უკვე მოასწრო“ ეთამაშა პრეტენდენტთა ასპარეზობაში, სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, გაიმარჯვა თბილისში, ბელგრადისა და ბეგერვიკის დიდ საერთაშორისო ტურნირებში და სულ ახლახან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ჯერ კიდევ 4 წლის წინათ ბევრი მიმომხილველი მიიჩნევდა, რომ სწორედ ნანა გახდებოდა ნონას მეტოქე. პრეტენდენტთა წინა ასპარეზობაში ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა, ნანა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო და, უეცლაფერს რომ თავი დავანებოთ, ფიზიკური ძალა არ ეყო ასეთი ძნელი ტურნირის მოსაგებად. მაგრამ მას შემდეგ ხომ ოთხი წელიწადი გავიდა!

ნონა გაფრინდაშვილს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ გამოჩენილი ბაქოელი ოსტატი ტატიანა ზატულოვსკაია დიდი ხანია ღირსია ითამაშოს მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ზატულოვსკაია ვერაფრით ვერ ახერხებს ნონამდე მიღწევას.

როგორი შესაძლებლობა აქვს დანარჩენ 3 მონაწილეს: ელენე რუბცოვას, ნატალია კონოპლიოვასა და ვალენტინა კოზლოვსკაიას?

რუბცოვა ძლიერად, მაგრამ არათანაბრად თამაშობს.

დიდი შეუპოვრობა და კარგი თეორიული მომზადება აქვს ნატალია კონოპლიოვას, რომელიც პირველად მიიღებს მონაწილეობას საზონთაშორისო ტურნირში. ვალენტინა კოზლოვსკაიას ამზადებს დიდოსტატი იგორ ბონდარევსკი, რომელიც დიდად დაეხმარა ბორის სპასკის მსოფლიო პირველობის მოპოვებაში.

მაშ ასე, ხუთივე საბჭოთა მოჭადრაკე ინარჩუნებს საპრიზო სამეულისთვის ბრძოლის მეტნაკლებ შესაძლებლობას.

ვინ არის უცხოელთაგან მათი უძლიერესი მეტოქე? პირველ რიგში, დიდად გამოცდილი იუგოსლაველი ოსტატი მილუნკა ლაზარევიჩი.

საზონთაშორისო ტურნირი მეტისმეტად მწვავე უნდა გამოდგეს. ეს გასაგებიც არის. 18 მონაწილისაგან მხოლოდ 3 გაავრძელებს გზას, ისე რომ ფაქტიურად სულერთია, მეოთხე ადგილზე გამოვა მოჭადრაკე თუ უკანასკნელზე.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონს, იგი ახლა უფრო თავისი პატარა დათოთა დაკავებული, ვიდრე ჭადრაკით. მაგრამ არა უშავს, 1972 წლამდე ხომ დიდი დროა, დათოც წამოიზრდება...

გივი გამრეკელი

სპორტული ქრონიკა

● თბილისის სპორტის სასახლეში ორ დღეს მიმდინარეობდა გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის სსრკ-ის ხუთნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. პირველი ფალავნის საპატიო სახელი მოიპოვა თბილისელმა შოთა გულიაშვილმა.

● რიგაში დამთავრდა უძლიერეს ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი, რომელმაც გამოავლინა ოლიმპიური ნაკრების საყრდენ პუნქტებს შორის უძლიერესი კოლექტივი. გუნდური ადგილები ქალაქებს შორის ასე განაწილდა. კიევი, გორი, თბილისი. რესპუბლიკებს შორის კი პირველობა დიდი უპირატესობით საქართველოს ძიუდოისტებს ხვდათ.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სიაში 12 ქართველი ფალავანი მოხვდა.

● სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი ალბერტ შესტერნიოვი 1970 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. ეს ცნობილი გახდა სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვის შემდეგ. საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში მოხვდნენ თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი გივი ნოდია და მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ანზორ კავაზაშვილი.

● ბრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობა კალათბურთში. ჯერჯერობით თბილისის „ქარიშხალა“ მეხუთე ადგილზეა, თბილისის „დინამო“ კი — მერვეზე. აღსანიშნავია, რომ დინამოელთა ახალი მწვრთნელია წარსულში საქვეყნოდ ცნობილი კალათბურთელი ოთარ ქორქია.

● კიდევ ერთი სახიბარულო ცნობა მოვიდა ავსტრალიიდან. თბილისელმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა ამჯერად პერტში დასავლეთ ავსტრალიის შტატის ჩემპიონობა დაისაკუთრა ერთეულთა და შერეულ წყვილთა თანრიგებში.











სპორტი

1970 წლის უკანასკნელ დღეებში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ შეაჯამა ტრადიციული საახალწლო ანკეტების შედეგები. ცნობილი გახდა იმ სპორტსმენთა ვინაობა, რომლებმაც თავიანთი მიღწევებით ასახელეს სამშობლო, გახდნენ მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, შორს გაიტანეს ქართული სპორტის დიდება.

აი ქართველ სპორტსმენთა საუკეთესო ათეული: თინა ლეკვეიშვილი, რომან რურუა, ალექსანდრე მეტრეველი, ნანა ალექსანდრია, გივი ნოდია, ომარ ფხაკაძე, ვიქტორ სანეევი, ზარიბეგ ბერიაშვილი, ალექსი ჯეჯელავა, ნინო დრონოვა.

ჩვენი მკითხველები ამ სახელებს საკმაოდ კარგად იცნობენ და მაინც ორიოდე სიტყვით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ 1970 წელს სპორტში მათ მიერ მოპოვებულ წარმატებებს.

საუკეთესო ათეული

თინა ლეკვეიშვილი — ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. საქართველოს 1970 წლის № 1 სპორტსმენი 17 წლისაა.

რომან რურუა — სპორტის დამსახურებული ოსტატი. 28 წლის ფალავანი 1970 წელს მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში. იგი საბჭოთა ნაკრების კაპიტანია.

ალექსანდრე მეტრეველი — საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ჩოგბურთში. № 1 ჩოგანი, უიმბლდონის ტურნირის ორგზის ფინალისტი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი. 26 წლის ჩოგბურთელი ახალ წელიწადს ავსტრალიაში შეხვდა. და აი შორეულ კონტინენტიდან მოვიდა პირველი სასიხარულო ცნობა — მეტრეველმა სამხრეთ და დასავლეთ ავსტრალიის შტატების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ნანა ალექსანდრია. საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა ჭადრაკში 1970 წელს ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. 21 წლის ქალიშვილი კიდევ ბევრ გამარჯვებას ჰპირდება ჭადრაკის გულშემატკივრებს.

გივი ნოდია — თბილისის „დინამოს“ 22 წლის თავდამსხმელი, შარშან ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და გაზეთ „ტრუდის“ პრიზი მოიპოვა. ქართველი ფეხბურთელი მონაწილეობდა მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში.

ომარ ფხაკაძე — ველოსიპედისტი, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი სპრინტში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ახლა 27 წლისაა. შარშან იტალიაში მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებაში ომარმა პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ვიქტორ სანეევი. მსოფლიოს რეკორდსმენმა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონმა 1970 წელს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამმაგ ხტომაში მას ბადალი არა ჰყავს, 25 წლის მძლეოსანი მსოფლიო უნივერსიადაზე კვლავ პირველი იყო.

ზარიბეგ ბერიაშვილი. 33 წლის ვეტერანმა სპორტსმენმა 1970 წელს ევროპის უძლიერესი ფალავნის სახელი მოიხვეჭა თავისუფალ ჭიდაობაში, ზარიბეგი 1970 წელს საბჭოთა კავშირის თასის მფლობელიც გახდა.

ალექსანდრე ჯეჯელავა. სამჭიდში 540 კილოგრამი არც ერთ ქართველ ძალოსანს არ აუწევია. 29 წლის გოლიათისათვის (ალექსანდრე პირველი მძიმე წონის ძალოსანია) მიღწეული ზღვარი როდია, იგი კვლავაც „დაამძიმებს“ საქართველოს რეკორდებს.

ნინო დრონოვა. 12 წლის სპორტის ოსტატმა მოხიბლა ლენინგრადელი მაყურებელი. შარშან აქ გამართულ ნორჩ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს წარგზავნილმა ოქროს სამი და ვერცხლის ერთი მედალი მოიპოვა.











სურათებზე: ზევით — თინა ლეკვეიშვილი; მარცხნიდან — რომან რურუა, ალექსანდრე მეტრეველი, გივი ნოდია, ნანა ალექსანდრია, ვიქტორ სანეევი; მარჯვნივ ზევიდან — ნინო დრონოვა, ალექსანდრე ჯეჯელავა, ზარიბეგ ბერიაშვილი და ომარ ფხაკაძე.



ზამთარი ■ ელენე ახვლედიანის ნახატი

საქართველოს

ყველაფერი ისე იყოს, როგორც არი,
არაფერი დამაკლდეს და მომემატოს —
შუა ტყეში ამოწვერილ სოკოსავით
ოღონდ შენი თბილი წვიმა მომჭნატროს.

დე, უჩემოდ იცინოდნენ ნიაგართან,
დე, უჩემოდ შეჰყურებდნენ პირამიდებს, —
ოღონდ ჩვენი ოდა-სახლის ღია კართან
დედა იდგეს და ნატრობდეს თბილ ამინდებს.

მზის სხივებში ლაპლაპებდეს ფლორენცია,
ვენეცია შეიფეროს ოქროსფერით...
ოღონდ თავბრუ დამახვიოს ფოთოლცვენამ,
ჩემს ქუჩაზე რომ იწყება ოქტომბერში.

სხვა ესტუმროს ეიფელს და რომის ჭუჩებს,
სხვა შეჩერდეს ფარაონთა სამარხებთან, —
ჰობარეთის ტყეში წყარო რომ ჩუხჩუხებს,
იმ წყაროში ოღონდ ხშირად ჩამახედა.

ყველაფერი ისე იყოს, როგორც არი,
არაფერი დამაკლდეს და მომემატოს, —
ოღონდ ტყეში ამოხეთქილ სოკოსავით
ძილში შენი თბილი წვიმა მომენატროს.

ალექსანდრე ბაბატაძე
ქალაქი ბორი

ქართული გაზეთების ფურცლებზე

თურქი მწერალი საქართველოში

ახალი წლის წინა დღეებში თბილისში იმყოფებოდა ცნობილი თურქი პროზაიკოსი და დრამატურგი ჰალდუნ თანერი.

გთავაზობთ ინტერვიუს ჩვენი დედაქალაქის სტუმართან, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (იბეჭდება მცირეოდენი შემცირებით).

— რას იტყვით საქართველოში თქვენი სტუმრობის თაობაზე?

საქართველოში აზიისა და აფრიკის მწერალთა IV კონფერენციიდან გამოვემგზავრე. თბილისში ჩამოსვლა ჩემი მოგზაურობის მარშრუტში არ შედიოდა, მაგრამ სიამოვნებით მივიღე გრიგოლ აბაშიძისა და იოსებ ნონეშვილის მოწვევა. აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა IV კონფერენციამ ჩვენი დროის მწერლობის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა განიხილა, მაგრამ ავიზე სიტყვას არ გავაგრძელებ. ყველაფერი ისედაც იცით პრესის მეშვეობით. მეკითხებით, რას ვიტყოდი საქართველოში სტუმრობის თაობაზე. ვიტყვი იმავეს, რასაც ჩემს თარჯიმანს, მოსკოველ ვასილ ილიასურს ვეუბნებოდი, როცა ჩვენი თვითმფრინავი თბილისის მიწაზე დაეშვა და ილუმინატორიდან ჩემს დასასვენებლად მოსულ ძველ ნაცნობებს ბუსაროვ ჟენჭესა და გურამ ბათიაშვილს მოვკარი თვალი, ილიასის ვუთხარი: მე თითქმის ჩემს სამშობლოში ჩამოვედი, თქვენ კი სტუმარი ხართ-მეთქი. დიახ, მე თითქმის ჩემს სამშობლოში ვარ, რადგან ჩემი დიდედა ქართველი ქალი, გვარად თავდგირიძე გახლდათ, მაგრამ განსვენებული ჩემი დიდედა და მე რა სახსენებელი ვართ, როცა ქართველი ქალები თურქი სათარაზანების (სარდლების) დედები გახლდნენ. რამდენი თურქი ფაშა ან სხვა დიდი პიროვნება აღზარდეს ქართველმა დედებმა. ბებიაჩემმა ოჯახში ყველას ასწავლა ქართული ენა. იგი საკმაოდ გონებაგახსნილი ქალი იყო და იცოდა, თუ როგორ გაეკეთებინა ეს — ბავშვების გამზრდელად და შინამოსამახურედ სწორედ ქართველი ქალები დაიქირავა. პაპა დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი გახლდათ და საამისო საშუალებებიც ჰქონდა. შინამოსამსახურე ქართველები დაბეჯითებით გვასწავლიდნენ ქართულ ენას. ჩემმა ბიძებმა და ბიძაშვილებმა კარგად ისწავლეს იგი, მაგრამ ჩემი ლინგვისტური მონაცემები მთლიანად მთანთქეს ფრანგულმა და ინგლისურმა ენებმა, რომლებსაც ახალგაზრდობაში ვსწაფლობდი. მერე ბებიაცა და ბიძა-ბიძაშვილებიც ჩემს გასაბრაზებლად ერთმანეთში ქართულად ლაპარაკობდნენ ხოლმე და ამით მაგრძნობინებდნენ, რომ სიყმაწვილეში დიდი შეცდომა მომივიდა.

მე უარს ვერ ვიტყოდი საქართველოს ნახვაზე, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ქართველ მწერალთან მეგობრული ურთიერთობაც მაკავშირებს. ვიცნობდი ქართველ ადამიანებს, ასე თუ ისე ვიცნობდი ქართულ ცეკვებს, მაგრამ ჩამოსვლის პირველსავე დღეს „დაისის“ მოსმენამ და ნახვამ ერთიორად გააფართოვა ჩემი ცოდნის არე. „დაისი“ უბრწყინვალესი მუსიკალური ნაწარმოებია. ეს სიტყვები არ მიიჩნიოთ დილეტანტის განცხადებად, მე თეატრალური განათლება ვენაში მივიღე და შემიძლია გამოვთქვა აზრი მუსიკალურ ნაწარმოებზე. მერწმუნეთ, რომ ეს ოპერა ყოველი ტერის მუსიკალურ გემოვნებას გაზრდიდა. ამ ოპერის მეოხებით მხოლოდ თბილისი არ მინახავს, მთელი საქართველო გავიცანი. მით უმეტეს, რომ ჩემი აქ მოგზაურობის ერთ დღეს ჯვარს, სვეტიცხოველსა და გორს ვეცნობოდი.

— რას იტყოდით თანამედროვე თურქულ ლიტერატურაზე?

რომელსაც თანამედროვე თურქულ ლიტერატურაზე, მის ადმავლობაზე ვლაპარაკობ, უმთავრესად ვგულისხმობ პროზას, რომლის ერთ-ერთ ჩინებულ წარმომადგენელს, აზიზ ნესინს თურმე სიამოვნებით კითხულობენ საქართველოში. აძლა-და თურქულ ლიტერატურაში მეტად საინტერესო ფიგურაა რომანისტი ჯემალ თაჰირი.

დღეს თურქულ ლიტერატურას ფრიად აინტერესებს სხვა ხალხთა მწერლობა. ჩვენ ძალიან ბევრს ვთარგმნით, გვაქვს მთელი რიგი სერიებისა — „კლასიკა“, „მეოცე საუკუნის კლასიკა“, „ნობელის პრემიის ლაურეატები“ და ასე შემდეგ. ახლა ვიწყებთ ქართული ლიტერატურის გაცნობას. უკვე ვთარგმნეთ იოსებ გრიშაშვილის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის და კიდევ რამდენიმე თვის წინათ ჩვენში გამოვიდა ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“. უნდა გაუწყოთ, რომ ეს რომანი კარგად მიიღო ჩვენმა საზოგადოებრიობამ. მაგრამ ყველაფერი ეს, რასაც ვირჩევ, ცოტაა, ზღვაში წვეთია. ჩვენ დიდი საქმეები გვაქვს წინ, ამიტომ სიდინჯე და აუჩქარებლობა გვმართებს. უნდა ვემზადოთ ერთმანეთის უკეთ გაცნობისათვის.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით **მიხეილ ლვინჯილია** დაინიშნა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად და განთავისუფლდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დაინიშნა **იოსებ რთველიაშვილი.**

ქრონიკა

დაგეძებენ, მოგელიან

ზოთა ალექსანდრეს ძე ქვეველიძეს,

დაბადებულს 1921 წელს ქუთაისში, ეძებენ დედა — **ქრისტინე,** და — **ნონა,** ძმა — **ბონდო,** დისწულები — **თემური, რამაზ, ზოთა,** ძმისწული — **ირინე ქვეველიძეები.** მცხოვრებნი ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 9ა, ბინა № 37.

ზოთა იორდანის ძე როსტომაშვილს,

დაბადებულს 1923 წელს თელავში, ეძებენ დედა — **დარო,** ძმა — **ალექსანდრე როსტომაშვილები,** მცხოვრებნი თელავში, ნინოშვილის ქუჩა № 3.

აბესალომ ივანეს ძე ძნელაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში, ეძებენ დედა — **შარო,** და — **ნინო,** ძმა — **ამბროსი ძნელაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ბურნათში.

კონსტანტინე პავლეს ძე ზოიძეს,

დაბადებულს 1924 წელს მარნეულის რაიონის სოფელ ნატანებში, ეძებენ დედა — **მარგალიტა,** ძმა — **დავით,** რძალი — **მადონა ზოიძეები,** მცხოვრებნი სოფელ ნატანებში.

ირაკლი ვიქტორის ძე ვეფხვაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ხაშურში, ეძებს და — **მარიამ ვეფხვაძე,** მცხოვრები ქალაქ ხაშურში, ვოროშილოვის ქუჩა № 1.

ალექსი გიორგის ძე ეგელაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში, ეძებენ დები — **მარო, რუხუდან, ჟუჟუნა,** ძმები — **ივანე, დავით ეგელაშვილები,** მცხოვრებნი ზემო ხოდაშენში.

ბაბარაზ (დათიკო) ილარიონის ძე ფაილოძეს,

დაბადებულს 1923 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწაში, ეძებენ დები — **თამარ, ნათელა,** ძმები — **ჯვებე (ჯონდო)** და **ქუჩუ ფაილოძეები,** მცხოვრებნი სოფელ ხუნწაში.

დავით სიმონის ძე სართანიას,

დაბადებულს 1910 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ თაბაკონში, ეძებენ მეუღლე — **მარო,** შვილები — **მურმან, იზოლდა, როინა,** და — **აგრაფინა,** ძმები — **რაჟდენ, ვალოდია სართანიები,** მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, „პრავდის“ ქუჩა № 14.

„მერნის“ სალონში

გამოფენა გახსნა გამომცემლობის დირექტორმა, პოეტმა კარლო კალაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, პროფესორი ვახტანგ ბერიძე, ხელოვნებისმცოდნე ოთარ ფირალიშვილი და სხვები.

გამოფენაზე წარმოდგენილია ასი გრაფიკული ნაწარმოები, თანამედროვეთა პორტრეტები. ყურადღებას იპყრობს მხატვრის „მძიმარე მწყემსი“, „მლოცველი მარინე“, „კახელი მოხუცი“, „მარგარიტა“, „გიგო“, რომაული ჩანახატების სერია, „რაჭველი მესტვირე“ და სხვა მრავალი.





სურათებზე: შჩა ჯაფარიძის „მეგობრები“ და „ვაჟა-ფშაველა“.

რედაქტორი
ვახტანგ მესქიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 00138.

ფასი 5 კაპ.